საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდები იწყება

2024 წლის 17 ივლისიდან საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდები იწყება.

სწავლების ცენტრი სერტიფიცირების გამოცდების ჩატარებას 30 მუნიციპალიტეტში მოქმედ საგამოცდო ცენტრებში უზრუნველყოფს: თბილისი (4 საგამოცდო ცენტრი), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი, მესტია, ოზურგეთი, ბათუმი, ქობულეთი, შუახევი, ხულო.

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების სურვილი, რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, 2719-მა მოქალაქემ დააფიქსირა, რაც, გამოცდაზე ჯამურად მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით 20%-ს შეადგენს (საგამოცდო ცენტრების მიხედვით რეგისტრირებულ გამოსაცდელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე).

სერტიფიცირების პროცესი პროფილურად შემუშავებული ტესტებით წარიმართება (გასაჯაროებული საკითხები გამოცდაზე უცვლელი ფორმით გამოიყენება).

საგამოცდო ცენტრებში გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით დარეგისტრირდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - 34 დამკვირვებლით.

გამოცდის ჩაბარების მსურველთა საყურადღებოდ:

გამოსაცდელი სერტიფიცირების გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ერთხელ, სარეგისტრაციო ბარათში მითითებული საგამოცდო ცენტრის მიხედვით, საგამოცდო თარიღისა და დროის დაცვით.

საგამოცდო დარბაზში დაშვების პროცედურის გავლის მიზნებისთვის, მოქალაქე საგამოცდო ცენტრში უნდა გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე, თან უნდა იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

გამოცდის მიმდინარეობისას გამოსაცდელს ეკრძალება: საგამოცდო დარბაზის დატოვება; ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების, ჩანაწერების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება; გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა; ტექნიკური საშუალებების, მათ შორის, მობილური ტელეფონის შეტანა, გამოყენება.

გამოსაცდელი, რომელიც არ გამოცხადდება გამოცდაზე, დაგვიანებით გამოცხადდება, ან გამოცდის მიმდინარეობისას დაარღვევს დადგენილ წესებს მოიხსნება გამოცდიდან.

სერტიფიცირების გამოცდა ტარდება ელექტრონული ტესტირების მეთოდით. გამოცდის ხანგრძლივობა 1 საათია. გამოსაცდელისათვის ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩევა 24 საგამოცდო ტესტი, ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა უნდა დააგროვოს 15 ქულა. სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება გამოცდის ჩაბარებიდან 5 წლის ვადით.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 032 2 61 21 11

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდა

N	საგამოცდო ცენტრების მისამართები	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობა	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა
1	თბილისის საგამოცდო ცენტრი N1, თბილისი, მუხიანი, მე-3 მ/რ, კორპ. №23 (N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	800	232
2	თბილისის საგამოცდო ცენტრი N2 , თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №32 (N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	57
3	თბილისის საგამოცდო ცენტრი N3, თბილისი, ნოსირის №4 (N5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	233
4	თბილისის საგამოცდო ცენტრი N4, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №32 (N3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	200	70
5	ქ. გურჯაანი, რუსთაველის №18 (N12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	400	35
6	ქ. სიღნაღი, დავით აღმაშენებლის №19 (N13 სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	30
7	ქ. თელავი, დავითაშვილის №2 (N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	480	96
8	ქ. რუსთავი, ფიროსმანის №19 (N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	480	44
9	ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის N68 (N23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	480	10
10	ქ. თეთრიწყარო, ჭავჭავაძის N2 (N26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	400	3
11	ქ. მცხეთა, აღმაშენელის № 51 (N27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	400	76
12	ქ. დუშეთი, მ. კოსტავას №23 (N28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	400	117
13	ქ. გორი, სამების №1 (N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	600	74
14	ქ. ბორჯომი, წმინდა ნინოს ქ. №11 (N36 ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	280	30

15	ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6 (N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	320	36
16	ქ. საჩხერე, მაჭავარიანის ქ. № 41 (N50 საჩხერის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	480	78
17	ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. № 5 (N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	480	91
18	ქ. ბაღდათი, სააკაძის ქ. № 5 (N52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	400	61
19	ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №8 (N57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	39
20	ქ. წყალტუბო, ალ. ყაზბეგის ქ. №2ა (N58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	61
21	ქ. ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №31 (N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	560	211
22	ქ. ამბროლაური, აღმაშენებლის №24 (N44 ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	19
23	ქ. ცაგერი, რუსთაველის №39 (N45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	33
24	ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. № 221 (N64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	540	42
25	ქ. ზუგდიდი, თავისუფლების №26 (N67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	240	77
26	ქ. ხობი, ცოტნე დადიანის №185 (N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	11
27	ქ. ფოთი, 26 მაისის №7 (N70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	18
28	ქ. მესტია, თამარ მეფის №14 (N47 მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	200	14
29	ქ. ოზურგეთი, დოლიძის ქ. №1 (N60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	400	167
30	ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. №27 (N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	600	449

31	ქ. ქობულეთი, მემედ აბაშიძის ქ. №10 (N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	600	55
32	დაბა შუახევი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №2 (N82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	380	55
33	ხულო, ტბელ აბუსერიძის №9 (N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	240	95